თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4644541

ნომერი: AR1702890

თარიღი : 22.08.2019

გაცემის თარიღი : 30.08.2019

გაცნობის თარიღი : 30.08.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო , და კოსტავას I შესახვევს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვლადიმერ სახვაძე პ/ნ 01001024444
- თბილისი, მანაგაძის 8

ორგანიზაცია:
- შპს "დემარში" კოდი: 400158743

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილსის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2019 წლის 22 აგვისტოს AR1702890 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და კოსტავას I შესახვევს შორის სარეკლამო აბრების მოწყობის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ შესაძლებელია სარეკლამო წარწერები მოეწყოს თეთრი ფერის.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. ფოტომონტაჟზე არ არის მითითებული ნიშნულები და სრულად ზომები;

2. განმცხადებლის უფლებამოსილება არ დგინდება. წარმოსადგენია შპს „დემარშის“ სარგებლობის უფლების (ქირავნობა, იჯარა) დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საჭიროების შემთხვევაში, საჯარო რეესტრში რეგისტრაციით;

3. საკადასტრო გეგმაზე მონიშნული იქნეს სარეკლამო აბრების განთავსების ადგილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება რეკომენდაციების გათვალისწინებით შესრულებული ფოტომონტაჟისა და მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.